ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის დროს ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამერიკელებმა ისწავლეს ხურაფად შენება, მიადწიეს სამშენებლო, განსაკუთრებით მოსაპირკეთებელი სამუშაოთა მაღალ ხარისხს. ამავე დროს განგვაცვიფრა ბინების დიდმა ღირებულებამ. ისინი მშრომელებისათვის ძალიან ძვირია. მაგალითად, ატლანტაში ჩვენ ვნახეთ, როგორ იქმნება მრავალსართულიანი კომფორტული ბინები კომფორტულია, მაგრამ მათი ფასი მეტისმეტად მაღალია — 800-დან 1.500 დოლარამდე თვეში.

კარგად არის მოწყობილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ხაავტომობილო ხეტვრნი. სასანაობოთ და ავტომანსტრადიელ დაწესებულებებთან მოწყობილია დიდი ავტოსადგომები. დიდ ქალაქებში აგებულია ეკრან წოდებული ხუპერგზები, რომლებზეც ავტომობილები დიდი სიჩქარით დაქრიან რამდენიმე მწკრივად. ბამონგარიშებულია, რომ მათი გამტარუნარიანობა ჩვეულებრივი ქუჩის მაგისტრალზე სამჯერ მეტია. ავტომობილების ნაკადების რეგულირებისათვის ფართოდ იყენებენ გამოსათვლელ ტექნიკას.

ამ დარგში ბევრი რამ სასარგებლო შეგვიძლია შევიძინოთ, მით უმეტეს, რომ ახლი ჩქაროსნული გზების ვაგვანა დასახულია მოსკოვში, ტაშკენტში, ყაზანსა და სხვა ქალაქებში. საინტერესოა ხხვადასხვა ღონეზე განტვირთვის კვანძების შენებლობის, აგრეთვე მიწისქვეშა გარეგუბნისა და საავტომობილო სადგომების ავების გამოცდილება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მიტად მწვავედ დგას საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების საკითხი. უკანასკნელ ხანს არა მარტო სპეციალისტები, არამედ მოსახლეობაც სულ უფრო მეტად რწმუნდება, რომ პირადი ავტომატრანსპორტის განვითარება არათუ ხელს არ უწყობს ქვეყანაში მოძრაობის პრობლემის გადაჭრას, არამედ წლითიწლობით კიდევ უფრო ართულებს მას. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება დიდ ქალაქებსა და მათ ცენტრებს. და ეს პრობლემა სხვადასხვა ქალაქში სხვადასხვაგვარად წყდება: შენდება მეტრო, სუბგრეზები, რომლებზეც უკვე ვილაპარაკეთ, ქალაქების ზოგიერთ ცენტრალურ რაიონში ფიქრობენ შეზღუდონ პირადი ავტომობილების მოძრაობა.

ვიზიტის დროს განსხილული იყო ქალაქის გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებიც, მათ შორის ახალი ქალაქების განაშენიანება და დაგეგმარება. ამერიკელი სპეციალისტები მზად არიან გაგიზიარონ ჩვენს გამოცდილებას ამ დარგში. საბჭოთა კავშირში ხომ ყოველწლიურად ჩნდება 15-20 ახალი ქალაქი და 50-ზე მეტი ქალაქის ტიპის დაბა.

როგორც ხედავთ, თქვა დასასრულ ა. ო. კუდრიავცევმა, თანამშრომლობის შესაძლებლობანი გვაქვს. და პირველი ნაბიჯები მოწმობენ, რომ ორივე მხარე ერთნაირადაა დაინტერესებული მისი წარმატებული განვითარებით.

ᲙᲐᲛᲑᲝᲯᲐ. ᲨᲔᲣᲪᲝᲕᲐᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ. ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲛᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲚᲔᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲯᲐᲠᲣᲨᲔᲑᲐ № 2 ᲑᲖᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝ.

ᲕᲘᲔᲜᲐ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ ᲛᲘᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐ Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ

13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). მშვიდობის უველა მეგობარი მიესალმება ავსტრიაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ვიზიტს, ნაოქვამია ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტაში კომიტეტის მდივნის ე. შარფის სტატიაში, რომელიც „გაზეთმა „ფოლკსშტიმმ“ გამოაქვეყნა.

სტატიაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ვენაში ჩამოდის დიდი სახელმწიფოს მთავრობის მეთაური, სახელმწიფოსი, რომელიც მუდამ მეგობრული გრძნობებით ეკიდება ავსტრიას. ე. შარფი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირმა გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ნაცისტური ბარბაროსობისაგან ავსტრიის განთავისუფლებაში და ხელი შეუწყო დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოს აღდგენას.

თუ ისეთმა პატარა ქვეყანამ, როგორიც ავსტრია, შეძლო სავსებით შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა და ნეიტრალიტეტი იმპერიალიზმის ხრიკების მიუხედავად, ამას ავსტრიელები რასაკვირველია, უნდა უმადლოდნენ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის ფსეობას, ნათქვამია სტატიაში.

ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲜᲘᲨᲐᲜᲡᲕᲔᲢᲘ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ

13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). გასული წლის 21 დეკემბერს ბერლინში ხელმოწერილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძვლების ხელშეკრულება ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია არა მარტო ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობისათვის, არამედ ევროპის და მის ფარგლებს გარეთ მშვიდობისთვისაც, განაცხადა დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ო. ფინცერმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის სხდომაზე, რომელიც იხილავდა ამ ხელშეკრულების შესახებ კანონის პროექტს.

ო. ფინცერმა მოიყვანა ხუკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომ ევროპა შემობრუნდა „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისაკენ, და აღნიშნა: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკას სამართლიანად შეუძლია თქვას, რომ თავისი კონსტრუქციული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკითა და თავისი ინიციატივებით მოლაპარაკებაზე მან შეიტანა წვლილი ამ პროცესში“. „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისაკენ ევროპის შემობრუნების გზაზე, თქვა მან, დადამწყვეტი ნიშანსვეტები გახდა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის ხელშეკრულება, ანალოგიურ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვარშავის ხელშეკრულება.

ო. ფინცერმა აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მრავალი წლის რეანუბისტული პრეტენზიები ევროპის ომისშემდგომ ეპოქაში ერთ-ერთ ინიციატორად ითვლებოდა, რესპუბლიკამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 84 სახელმწიფოსთან. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მაღლობას უძღვნის ყველა სახელმწიფოს, და უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირსა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებს. რომლებიც თავიანთი პოლიტიკით მხარს უჭერდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლას საერთაშორისო ასპარეზზე თანასწორუფლებიანი მონაწილეობისათვის და ამით დიდი სამსახური გაუწიეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეს.

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲝᲥᲛᲡ

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა დავალებით ადმირალმა ვ. ალექსეევმა და ვიცე-ადმირალმა დ. უეინერმა 1973 წლის 22 მაისს ქალაქ ვაშინგტონში ხელი მოაწერეს ღია ზღვასა და მის საჰაერო სივრცეში ინციდენტების თავიდან აცილების თაობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეთანხმების ოქმს.

მხარეები, ნათქვამია დოკუმენტში, განახორციელებენ ღონისძიებებს, რათა გაიცნონ თვითეული მხარის არასამხედრო გემებს შეთანხმების დებულებანი, რომლებიც მიხნად ისახავენ ურთიერთუშიშროების უზრუნველყოფას.

აღნიშნულია, რომ მხარეების ხომალდებმა და თვითმფრინავებმა არ უნდა მიმართონ შეტევების იმიტაციას მეორე მხარის არასამხედრო გემებისათვის ხელშეკრულების შესახებ კანონის პროექტს.

ო. ფინცერმა მოიყვანა ხუკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, რომ ევროპა შემობრუნდა „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისაკენ, და აღნიშნა: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკას სამართლიანად შეუძლია თქვას, რომ თავისი კონსტრუქციული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკითა და თავისი ინიციატივებით მოლაპარაკებაზე მან შეიტანა წვლილი ამ პროცესში“. „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისაკენ ევროპის შემობრუნების გზაზე, თქვა მან, დადამწყვეტი ნიშანსვეტები გახდა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის ხელშეკრულება, ანალოგიურ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვარშავის ხელშეკრულება.

ო. ფინცერმა აღნიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მრავალი წლის რეანუბისტული პრეტენზიები ევროპის ომისშემდგომ ეპოქაში ერთ-ერთ ინიციატორად ითვლებოდა, რესპუბლიკამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა 84 სახელმწიფოსთან. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მაღლობას უძღვნის ყველა სახელმწიფოს, და უწინარეს ყოვლისა სსრ კავშირსა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებს. რომლებიც თავიანთი პოლიტიკით მხარს უჭერდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლას საერთაშორისო ასპარეზზე თანასწორუფლებიანი მონაწილეობისათვის და ამით დიდი სამსახური გაუწიეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეს.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲮᲘᲚᲦᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ

14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ნიუ-იორკის უდიდეს კულტურულ ცენტრში — ლინკოლნის საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრში სამანსოვრო მედალი გადასცეს თვალსაჩინო საბჭოთა კომპოზიტორს დ. დ. შოსტაკოვიჩს. „ეს მედალი, — განაცხადა თავის სიტყვაში ლინკოლნის ცენტრის დირექტორმა ჯონ მაზოლამ, — დიმიტრი შოსტაკოვიჩს იძლევა მადლიერების ნიშნად იმ სიხარულისათვის, რომელსაც მისი მუსიკა ანიჭებს მილიონობით ამერიკელს, აგრეთვე მადლობის ნიშნად იმისათვის, რომ ეს მუსიკა ყოველ უფრო აახლოებს ჩვენი ქვეყნების ხალხებს“.

დ. დ. შოსტაკოვიჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა ქალაქ ჩიკაგოს ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის მოწვევით, რომელმაც საბჭოთა კომპოზიტორს ხელოვნების სამპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ

რეაქცია არ ცხრება

13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). მახლობელი დემონსტრაციები მოაწყვეს ჩილელმა ქალებმა ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში. ისინი ქუჩებში გამოვიდნენ, რათა მტკიცე პროტესტი განეცხადებინათ უკიდურესად მემარჯვენე ძალების ხრიკებისა და მათი ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ. დემონსტრაცია, რომელიც რესპუბლიკის დედაქალაქ სანტიაგოში გაიმართა, დამთავრდა მიტინგით. მიტინგის მონაწილეებმა მოუწოდეს ყველა ჩილელ ქალს შეაკავშირონ თავიანთი რიგები, ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი სახალხო ერთიანობის მთავრობას.

ქალთა დემონსტრაცია ერთ-ერთია ხალხთა მასების მრავალი გამოსვლებიდან ბურჟუაზიული ოპოზიციის განუწყვეტელი აქციების წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს სხვადასხვა მეთოდებითა და საშუალებებით გაუტეხოს სახელი მთავრობას, რომელსაც პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე მეთაურობს, და მიაღწიოს მის დამხობას.

ᲙᲐᲠᲘᲑᲘ

ᲓᲐᲥᲐᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). საფრანგეთში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ძიპ ენ-ფეის ვიზიტთან დაკავშირებით ფრანგული გაზეთი „კრუა“ ხაზს უსვამს, რომ სწორედ ახლა, როცა საფრანგეთში იმყოფება ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სინშუას საინფორმაციო განსაკუთრებული დაუნენებით აზვიადებს „საფრთხეს“, რომელსაც თითქოს უქმნიდეს დასავლეთ ევროპას საბჭოთა კავშირის მისწრაფება, რომ კონტინენტზე შეიქმნას კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემა.

ᲨᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲘᲗᲘ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲒᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲕᲘᲝᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ,. 13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ), ფრანგი და საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც იძიებენ მიზეზებს, თუ რატომ მოუვიდა კატასტროფა თვითმფრინავ „ტუ-144“-ს საფეხონისტრაციო ფრენის დასკვნის ეტაპზე, განაგრძობენ ერთობლივ მუშაობას და ჯერჯერობით დასკვნას ვერ გამოვიტანთ, განაცხადა ბენრარალურმა კონსტრუქტორმა ა. ა. ტუპოლევმა. სადღესოდ შეარჩევილია საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია, რომელსაც გულდასმით ვაანალიზებთ. სამწუხაროდ, ვერ გვიპოვია ავტომატური თვითმწერის ჩანაწერი. გვაკლია ყველაფისათვის განსაკუთრებით საჭირო ზოგიერთი სხვა ნაკლიც. და მაინც, ეჭვი არ არის, რომ დაწყებულ სამუშაოს სპეციალისტები ბოლომდე მიიყვანენ.

ავიოკონსტრუქტორმა კატეგორიულად უარყო ინგლისის პრესის მტკიცებანი, რომლებიც შემდეგ ზოგიერთი სხვა ქვეყნის გაზეთებმაც გაიმეორეს, თითქოსდა „ტუ-144“ მარკის სხვა თვითმფრინავებსაც მოსცლოდეთ კატასტროფა. „ოფიციალურ ეს მონაჩმახია, რაც მათს ავტორებს არ ეკადრება“, —, განაცხადა ა. ა. ტუპოლევმა.

მან უარყო აგრეთვე ფრანს პრესის მიერ გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ ლე-ბურჟის ავიაპალონში წარეგზავნილ საბჭოთა დელეგაციას ეკიპაჟის წევრებისათვის მიეცეს რაღაც მითითებანი ფრენის პროგრამის შეცვლის შესახებ. ფრენის ჯგუფა, თქვა მან, „წინასწარ იყო ცნობილი და არ შეიცავდა რაიმე სახიფათო ელემენტებს.

ა. ა. ტუპოლევმა ჯერეთვანი პატივი მიაგო „ტუ-144“-ის გმირული ეკიპაჟის ვაეკაცობას და ხსოვნას და გამოთქვა რწმენა, რომ მომხდარი ავბედი ვერ შეაჩერებს საბჭოთა კავშირში ზებგერითი თვითმფრინავების შექმნის პროგრამის შემდგომ განხორციელებას.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ ᲝᲠᲑᲘᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ „ᲡᲙᲐᲘᲚᲔᲑᲘ“

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ამერიკელი კოსმონავტები ჩ. კონრადი, ჯ. კერვინი და ბ. ვეიეი ორბიტულ სადგურ „სკაილაბში“ განაგრძობენ სამედიცინო ექსპერიმენტებს, ახტრონომიულ დაკვირვებას და ბუნებრივი რესურსების კვლევას.

ისინი იუწყებიან, რომ სადგურში დაიწყო აგრეთვე ტექნოლოგიური ექსპერიმენტები უწონობისა და ვაკუუმის პირობებში. ექსპერიმენტები მომდინარეობს 40 სანტიმეტრი დიამეტრის სპეციალურ კამერაში. კოსმონავტებმა მოაწყვეს ლითონების შედუღების ექსპერიმენტი, რისთვისაც გამოიყენეს ელექტრონულ-სხივური ზარბაზანი, რომელიც უზრუნველყოფს ელესიფსით 1.100 გრადუსზე მეტ გაზურებას. კოსმონავტების ცნობით, ექსპერიმენტმა წარმატებით ჩაიარა.

ბუნებრივი რესურსების კვლევის მორიგი სეანსის დროს კოსმონავტებს ხელს უშლიდა ღრუბლიანობა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის დიდ ნაწილზე. ისინი სწავლობდნენ ფლორიდის შტატის ბუნებას, კერძოდ ქალაქის ნაგებობათა ზემოქმედებას მასზე. ნელსაწყოების მეშვეობით კოსმონავტები აკვირდებოდნენ რაკეტების სასტარტო მოედნებს კენედის კონცხზე.

როგორც ფრენის მართვის ცენტრში გადმოსცეს, ოკეანე გასული კვირის ბოლოდან კერვინს რამდენადმე დაეწყო გული მოქმედება. გუშინ ამგვარი სიმპტომები შეამჩნიეს ვეიესაც. კონრადს ასეთი სიმპტომები არა აქვს. გულის მოქმედებაში შემჩნეული დარღვევები უწონობის ხანგრძლივი ზემოქმედების ბუნებრივ შედეგად მიაჩნიათ. ფიქრობენ, რომ ეს არ არის საშიში, და, კერძოდ, ხელს არ შეიშლის 20 ივნისისათვის დაგეგმილ ღია კოსმოსში გასვლას, რომლის მიზანია ფირანი ჯასეტების ამოღება ასტრონომიული ხელსაწყოებიდან, და სხვა ოპერაციები.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘ ᲒᲐᲡᲕᲚᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲐᲓᲒ

აშენდება თბილისსა და სოხუმში





საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის არქიტექტორებმა შ. ლომთათიძემ და რ. ხატიაშვილმა შეიმუშავეს სოხუმის ტურბაზისა და 400-ადგილიანი სასადილოს პროექტი. ტურბაზის მშენებლობა 1974 წელს დაიწყება.

თბილისის საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების ტიპური და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურმა სამეცნიერო-საკვლევმა საპროექტო ინსტიტუტმა შეიმუშავა ბაგების საცხოვრებელი მიკრორაიონის პროექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთათვის.

სურათებზე: ზემოთ — ბაგების საცხოვრებელი მიკრორაიონის პროექტი; მარცხნივ — ასეთი იქნება ახალი ტურბაზა სოხუმში.

ი. ჯოხონელიძისა და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲥᲐᲚᲝᲜᲝᲑᲐ

ᲧᲕᲔᲚᲐ „ᲝᲥᲠᲝᲡ“ ᲞᲘᲠᲥᲘᲜᲝᲕᲡ

მადრიდი, 14 ივნისი. (საკადესის კორ. მ. ალიაბიევი). მსუბუქი წონის საბჭოთა ძალოსანმა შუპარი კირჟინოვმა მადრიდში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა ყველა ოქროს ჯილდო თავის კატეგორიაში — გაიმარჯვა ორჭიდსა და ორივე მოძრაობაში. სსრ კავშირისა და მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონმა აიტაცა 130 კილოგრამი, აკრა 172,5, ხოლო ორჭიდში 302,5 კილოგრამი მოაროდა. კირჟინოვი პირველი იყო აგრეთვე მე-20 ოლიმპიადის ჩემპიონთაგან, ვინც წარმატება მოიპოვა მადრიდის ფიცარნაგზეც.

ორჭიდში მეორე პრიზიორი გახდა ბულგარელი იმლადენ კუჩევი —295 კილოგრამი, მესამე — პოლონელი ზბიგნევ კაჩმარეკი — 292,5.

ეერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოები ცალკეულ მოძრაობებში მოიპოვეს: ატაცში — კუჩევმა — 127,5 და უნგრელმა ენცი ამბროზიმ — 125, აკრაში — კუჩევმა — 167,5 და კაჩმარეკმა — იგივე შედეგით.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲠᲙᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲘᲜᲐᲠᲝ

ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲙᲝᲠᲩᲜᲝᲕᲘ

ᲩᲕᲔᲜ უკვე ვიუწყებოდით, რომ მერვე ტურში ლარსენმა პირველი დამარცხება განიცადა — კორჩნოისთან. საინტერესოა ალინიშნოს, რომ დანიელ კროსმაისტერს აქამდეც ფარყოფითი შედეგი ჰქონდა ამ მეტოქესთან — 1:3, ამიტომ თავიდანვე მოგებისაკენ მიისწრაფოდა. დებიუტით (ინგლისური დასაწყისი) კორჩნოიმ შავებით ალრეი პოზიცია მიიღო მას შემდეგ, რაც კერესის მიერ დამუშავებული სიამედო ვარიანტი გამოიყენა. მან, მართალია, მეტოქეს ორი კუს უპირატესობა დაუთმო, მაგრამ სამაგიეროდ მარჯვედ განლაგა ძალები. შუა თამაშში ლარსენმა გაცალა ლაზიერი, მაგრამ შავი თეგორების მოგერიება ვერ შეძლო. ლიდერმა წაიგო პაიკი და... ლიდერობაც დაკარგა. ბირნ-ტუკმაკოვის შეხვედრაში ესპანური პარტია გათამაშდა. დასაწყისში ტუკმაკოვმა ალრეიდ ითამაშა და საკუთრივ გათანაბრა პოზიცია. ეს პარტია მოულოდნელად დამთავრდა — ტუკმაკოვს ვარიანტის გათვლისას მძიმე შეცდომა მოუვიდა, წაიგო თეგორა და დანებდა. ალიგორიჩმა მოუგო ესტონელს. ყიამბე შეთანხმდნენ „ინტერეროს-ტამანიოვი“ „ალეარ-კუზმინი, ტალ-კარპოვის პარტია არ გათამაშებულა ტალის ავადმყოფობის გამო. საინტერესო იყო ფლმნინ ჰიუბნერის პარტია. ბ. გადადებულ პოზიციაში ფლმანი ერთგვარ უპირატესობას ინარჩუნებს. ყურადღებას იპყრობს ის ამბავი, რომ ლიდერთა ჯგუფს „შეიმენიგლად წამოეპარა“ სმეიკალი. მან უკვეთეს პოზიციაში გადადო პარტია რადულოვთან.

ლარსენს წაგებამ საკრძნობლად გაამწვანა ბრძოლა. 8 ტურის შემდეგ 6.5 ქულით ლიდერი გახდა ბირნი. უახლოეს დღეებში ბირნმა სერიოზული გამოცდა უნდა „ჩაბარდეს“ — იგი ზეიდზედ ეთამაშება საბჭოთა მოკადრეებს.

და აი გუშინ მეცხრე ტურში ვიქტორ კორჩნოიმ 28-ე ხელზე მოუგო ამერიკელ ბირნს და 7 ქულით და ერთი გადადებული პარტიით ლიდერი გახდა.

ბ. ᲒᲐᲛᲠᲯᲔᲚᲘ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ?

ბუდაპეშტი, 14 ივნისი. (საკადესი). ანგარიშით 3:3 (1:1) დამთავრდა აქ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი უნგრეთისა და შვეიცის გუნდებს შორის. ეს მწკრივი შეხვედრა ფაქტურად გადაწყვეტი იყო მომავალი ფინალისტის გამოსარკვევად. ახლა საუკეთესო შანსები აქვს შვეიცის ნაკრებს (ევროპის პირველ ჯგუფში გამოდიან აგრეთვე ავსტრიისა და მალტის გუნდები). თუმცა ლიდერი ახლა ავსტრიის გუნდია, რომელსაც 8 ქულა აქვს, შვეიცის ნაკრებს (მას ექვსი ქულა აქვს) კიდევ ერთი თამაში დარჩა ჩასატარებელი მალტასთან. შვეიდებ ეკიდებათ გამარჯვება ორი ბურთის სხვაობით, რათა უკან ჩამოიტოვონ ავსტრიელები. ასეთი შედეგიანი სკანდინავიელებს აქვთ — მალტის ნაკრებს არა თუ არცერთი ქულა არა აქვს აქამდე, არამედ ერთი ბურთიც კი არ გაუტანია მეტოქეთა კარში. გადამწყვეტი მატჩი გაიმართება 11 ნოემბერს მალტაში. უნგრეთის ნაკრებმა დაამთავრა ტურნირი 8 ქულით, მაგრამ მას ბურთების უარესი სხვაობა აქვს, ვიდრე ავსტრიელებს.

ᲪᲮᲠᲘᲚᲘᲗ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲐ

ᲯᲔᲚᲬᲘᲜᲯᲘ. 14 ივნისი. (საკადესი). ფრიდ — 0:0 დამთავრდა სსრ კავშირისა და თინეთის ახალგაზრდული გუნდების საპასუხო მატჩი ფეხბურთში, რომელიც გაიმართა ჭალაჭ ლაპენრანტაში. ეკრანების პირველობის შესარჩევი ტურნირის (მასში მონაწილეობენ ფეხბურთელები 23 წლის ასაკამდე) ამ მატჩს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მეტოქეებისათვის — საბჭოთა სპორტსმენებმა ვადაზე ადრე უზრუნველყვეს თავისთვის მეოთხედფინალში გასვლა — მათ წინა სამ შეხვედრაში დაამარცხეს საფრანგეთისა და ფინეთის გუნდები.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘ

ᲐᲗᲔᲜᲘ. უნგრეთის ახალგაზრდულმა გუნდმა (მოთამაშეთა ასაკი 23 წლამდე) მოიგო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საბერძნეთის თანატოლებთან — 3:2 (2:0) და ქვეჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვა, რამაც მას მეოთხედფინალის საგზური მისცა.

ᲠᲐᲛᲚᲘᲡ ᲕᲘᲧᲣᲠᲔᲗ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲨᲘ

15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — ფერადი ტელევიზია. ამერიკული სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „დაკტარი“ (მეოთხე სერია), 11.30 — სატელევიზიო ფილმი, 12.00 — ფერადი ტელევიზია. იტალიური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ლეონარდო და ვინჩის ცხოვრება“ (მეხუთე სერია), 16.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები: თეორიული მექანიკაში; 19.55 — სკკპ ისტორიაში; 20.55 — განცხადებები, 21.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „მიამბე შენს შესახებ“.

ᲠᲐᲓᲘᲝ

16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ბ. კვერნაძე. მუსიკა კინოფილმ ე ბ ი დ ა ნ, 06.50 — „სოფლის ღიღნა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — ქართული ხალხური მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „სსრ საქართველოს პიონერი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05— მსუბუქი მუსიკა, 11.45—კონცერტი ვ. გრიგის ნაწარმოებებიდან, 13.30— გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.45 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 14.00 — ა. ადამია. „სოფელი სიმაღალი“, რადიოდადგმა, 15.00 — ვ. ვერსალაძის კონცერტი, 16.15 — ა. ჰახუტუნეა. ფრაგმენტები „რუსული სიუიტიდან“, 16.30 — „მეიარული ტალღაზე“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. კონცერტი-საუბარი „დიმიტრი კაბალევსკი“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — საორკესტრო პიესები. 19.00— რადიოჟურნალი „ჩვენი სოფელი“, 19.30 — „ჩვენი იმედიანი ჩანაწერები“, 22.20 — ბ. ჩაიკოვსკი. რომანსები, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის. რადიონარკვევი „მემასტეები“, 22.00 — „საღამო მშვიდობისა!“ 23.30 — ა. მაჭავარიანი. ნაწყვეტები ბალეტ „ოტელოდან“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ:** მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲨᲠᲘᲔᲚ ᲐᲙᲘᲡᲢᲐ.**

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პროსპ., 74)

17 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობა („ა“ კლასის უმაღლესი ლიგა)

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲐᲠᲐᲠᲐᲢ“ (ერევანი).

(ძირითადი შემადგენლობანი).

დასაწყისი 18 საათზე.

ბილეთებს წინასწარი გაყიდვა ორგანიზაციებში — 15 ივნისს, აბონემენტებზე 16 ივნისს დღის 12-დან საღამოს 7 საათამდე სტადიონის სალაროებში, საერთო გაყიდვა 17 ივნისს დილის 10 საათიდან.

რედაქტორი

Დ. ᲛᲔᲓᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1973-74 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

I. ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲬᲧᲣᲐᲢᲔᲗᲘᲗ

1. ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული და რუსული სექტორები), 2. სამშენებლო ნაკეთობათა და კონსტრუქციების წარმოება (ქართული სექტორი).

2. ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. ელექტრული სადგურები (ქართული და რუსული სექტორები), 2. ელექტრული სისტემები და ქსელები (ქართული სექტორი), 3. სამრეწველო საწარმოთა, ქალაქებისა და სოფლის მეურნეობის ელექტრომომარაგება (ქართული და რუსული სექტორები), 4. თბოელექტროსადგურები (ქართული სექტორი), 5. სამრეწველო თბოენერგეტიკა (ქართული და რუსული სექტორები), 6. ელექტროამძრავი და სამრეწველო დანადგართა ავტომატიზაცია (ქართული სექტორი).

3. ᲡᲐᲛᲝᲗᲝ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. სამარკშეიდერო საქმე, 2. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია, 3. მარგი წიაღისეულის გამდიდრება, 4. მიწისქვეშა ნაგებობათა და შახტების მშენებლობა, 5. სამთო მანქანები და კომპლექსები, 6. სამთო სამუშაოთა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია (ქართული და რუსული სექტორები).

4. ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. არაორგანულ ნივთიერებათა და ქიმიური სასუქების ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 2. ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია (რუსული სექტორი), 3. მჟიადა მასალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 4. ძირითადი ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 5. კერამიკისა და ეეცხლმედეგობის ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 6. მინისა და სიტალების ქიმიური ტექნოლოგია (რუსული სექტორი).

5. ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲐ-ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲗᲛᲨᲔᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული და რუსული სექტორები), 2. ავტომატები და ტელემექანიკა (ქართული სექტორი), 3. თვითმფრინავთმშენებლობა (ქართული და რუსული სექტორები), 4. ბმული ელემენტების ტექნოლოგია (ქართული და რუსული სექტორები), 5. სამრეწველო თბოენერგეტიკა (ქართული სექტორი), 6. ელექტროამძრავი და სამრეწველო დანადგართა ავტომატიზაცია (ქართული სექტორი).

6. ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. შავი ლითონების მეტალურგია (ქართული სექტორი), 2. შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება (ქართული და რუსული სექტორები), 3. ლითონთმცოდნეობა, ლითონთა თერმული დამუშავების მოწყობილობა და ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 4. ლითონების წნეითი დამუშავება (რუსული სექტორი), 5. ფერადი ლითონების ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული სექტორი), 6. ფერადი ლითონების ელექტროლიზური მეტალურგია (ქართული სექტორი), 7. ფაიფურ-ნეგეულის ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 8. ქსოვა (რუსული სექტორი).

II. ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲣᲬᲧᲣᲐᲢᲔᲗᲘᲗ

ა) ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (რუსული სექტორი), 2. ავტომატიკა და ტელემექანიკა (რუსული სექტორი), 3. ელექტრონული გამომთვლელი მანქანები (ქართული სექტორი), 4. არაორგანულ ნივთიერებათა და ქიმიური სასუქების ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 5. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი), 6. წყალმომარაგება და კანალიზაცია (ქართული სექტორი).

რუსთავის სალამოს სწავლების ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(ქ. რუსთავი, რუსთაველის ქ. № 16).

1. შავი ლითონების მეტალურგია (ქართული სექტორი), 2. ლითონთმცოდნეობა, ლითონთა თერმული დამუშავების მოწყობილობა და ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 3. ლითონების წნეითი დამუშავება (რუსული სექტორი), 4. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული სექტორი), 5. არაორგანულ ნივთიერებათა და ქიმიური სასუქების ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 6. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

(ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის პროსპექტი № 62)

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (ქართული სექტორი), 2. სამშენებლო წარმოების მოწყობილობა და ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 3. შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება (ქართული სექტორი), 4. ავტომობილი და ტრაქტორები (ქართული სექტორი), 5. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი).

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(ქ. გორი, საბჭოს ქუჩა № 17)

1. ელექტრული სისტემები და ქსელები (ქართული სექტორი), 2. ხიდები და გვირაბები (ქართული სექტორი).

ᲞᲘᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(ქ. ᲞᲘᲗᲐᲣᲠᲐ, კომკავშირის ქ. № 13)

1. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 2. სამთო სამუშაოთა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია (ქართული სექტორი).

ᲪᲘᲮᲘᲡᲯᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(ქ. ᲪᲘᲮᲘᲡᲯᲕᲠᲘ, ᲒᲣᲠᲐᲛᲨᲕᲘᲚᲘᲡ ქ. № 7)

1. მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 2. ხიდები და გვირაბები (ქართული სექტორი), 3. ტაძრების ტექნოლოგია (ქართული სექტორი), 4. ტაძრის ნაკეთობათა ტექნოლოგია.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

(ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ახალგაზრდობის პროსპექტი № 62)

1. ძირითადი ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის ტექნოლოგია.

ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

ა) თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანასთან

(ქ. თბილისი, ავჭალის გზატკეცილი)

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები.

ბ). თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანასთან.

(ქ. თბილისი, ხმელნიცკის ქ. № 17)

1. თვითმფრინავთმშენებლობა.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ

(ქ. სოხუმი, ჩამბას პირველი შესახვევი, მე-13 საშ.სკოლა).

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიღების წესები იცვლება, რაც სსრ კავშირის ყველა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისათვის, დღის სტაციონარზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში:

საინჟინრო ფიზიკურ, ავტომატიკის და გამოთვლითი ტექნიკის, კავშირგაბმულობის და ელექტრონიკის ფაკულტეტებზე: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა), მათემატიკა (ზეპირი); ფიზიკა (ზეპირი);

სამთო, გეოლოგიურ, ენერგეტიკულ, მექანიკა-მანქანათმშენებლობის, ავტომექანიკურ, სამშენებლო, ჰიდროტექნიკის და სანტექნიკის, საერანსპორტო ფაკულტეტებზე და მეტალურგიული ფაკულტეტის სამომზადებლო წარმოების მოწყობილობისა და ტექნოლოგიის სპეციალობაზე: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა), მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (წერა);

ქიმიური და კვების ტექნოლოგიის, მეტალურგიული (გარდა სამომზადებლო წარმოების მოწყობილობისა და ტექნოლოგიის სპეციალობისა) და ქუთაისის ფაკულტეტის დღის განყოფილებაზე შემსვლელნი: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ქიმია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (წერა);

არქიტექტურის ფაკულტეტზე: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ხატვა, ბაზრა, მათემატიკა (წერა), ფიზიკა (წერა).

საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ იმავე საგნებში, რაშიც დღის სტაციონარის სათანადო სპეციალობებზე.

ოქროს (ვერცხლის) მედლიან საშუალო სკოლადამთავრებულნი ან საშუალო სპეციალურ და სამუშაო პროფტექნიკურ სასწავლებლდამთავრებულნი, - რომლთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას შესაბამისი სპეციალობისათვის დადგენილ მხოლოდ ერთ-ერთ საგანში: არქიტექტურის ფაკულტეტზე — ხატვაში; საინჟინრო ფიზიკურ ფაკულტეტზე — ფიზიკაში, (ზეპირი); ყველა სხვა ფაკულტეტზე და სპეციალობებზე — მათემატიკაში (ზეპირი), გამოცდის „ხუთზე“ ჩაბარებისას ისინი თავისუფლდებიან მისაღები გამოცდების შემდგომი ჩაბარებისაგან, ხოლო „ოთხის“ ან „სამის“ მიღებისას აბარებენ გამოცდას სხვა ყველა შესაბამის საგანში.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებს შემოაქვთ შემდეგი დოკუმენტები: 1. განცხადება (ბლანკი) დადგენილი ფორმით (გამიღმა შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებში); 2. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); 3. დასასიათება, გაცემული სამუშაო ადგილიდან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საწარმო-დაწესებულების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ, კოლმეურნეობათა გამგეების მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთათვის — სკოლის ხელმძღვანელობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი), დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ, კოლმეურნეობათათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, კოლმეურნეობისათვის კალენდარული წელზე დაწესებული შრომადღეების მინიმუმის აღნიშვნით, საშუალო სკოლის დამთავრების მომდევნო წლებში უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებს, როგორც წესი, უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 6 თვის სტაჟი ყოველი იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდნენ. 6. ხუთი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომით 3X4);

ინსტიტუტში გამოცხადებისას შემსვლელმა პირადად უნდა წარმოადგინოს პასპორტი და სამხედრო ბელეთი ან მიწერის მოწმობა.

სწავლების ნებისმიერ სახეზე შემსვლელთათვის საუთები მიიღება 1973 წლის 20 ივნისიდან 31 ივლისამდე, ყოველდღიურად (გარდა კვირადღისა) 9 საათიდან 16 საათამდე, შესაბამისი ფაკულტეტების მიერ.

ა) სამშენებლო, მექანიკა-მანქანათმშენებლობის, ავტომექანიკურ საგრანსპორტო, არქიტექტურის, ჰიდროტექნიკის და სანტექნიკის, საინჟინრო ფიზიკურ და ქ. თბილისში განთავსებულ ფაკულტეტებზე — 1 სასწავლო კორპუსი, ლენინის ქ. № 64.

ბ) ქიმიური და კვების ტექნოლოგიის, მეტალურგიული — II სასწავლო კორპუსი, ლენინის ქ. № 69.

გ) ენერგეტიკული, ავტომატიკის და გამთვლელთა ტექნიკის, კავშირგაბმულობის და ელექტრონიკის, სამთო, გეოლოგიური — III კორპუსი, ლენინის ქ. № 77

დ) ქუთაისის ფაკულტეტის დღის განყოფილება — ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის პროსპექტი 62

ე) საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე (გარდა ქ. თბილისში განლაგებული დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებისა) შესაბამისი მისამართებით, რომლებიც ნაჩვენებია განცხადების II განყოფილებაში.

ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ ᲩᲐᲑᲐᲠᲓᲔᲑᲐ:

ა) წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლების ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის 1973 წლის 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, (ჩარიცხვა 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე) ქ. თბილისში, ხოლო ქუთაისის დღის განყოფილებაზე შემსვლელთათვის — ქ. ქუთაისში.

ბ) თბილისის, რუსთავის, გორის, თელავის საღამოს სწავლების ფაკულტეტებზე და ქ. თბილისში განლაგებულ დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის 1973 წლის 11 აგვისტოდან 25 აგვისტომდე, (ჩარიცხვა 26 აგვისტოდან 29 აგვისტომდე) ქ. თბილისში.

გ) ქუთაისის ფაკულტეტის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე, ფოთის, ბათუმის, ჭიათურის, ტყიბულის, საღამოს სწავლების ფაკულტეტებზე, ხოსუმის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე შემსვლელთათვის 1973 წლის 11 აგვისტოდან 25 აგვისტომდე (ჩარიცხვა 26 აგვისტოდან 29 აგვისტომდე) ქ. ქუთაისში.

წარმოებისაგან მოწყვეტით ფაკულტეტებზე ჩარიცხულები ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გატარდნენ 1973 წლის 30 აგვისტომდე, ხოლო საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე ჩარიცხულები 1973 წლის 8 სექტემბრამდე. რეგისტრაცია წარმოებს შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებში.

მისაღები გამოცდები ჩატარდება იმ პროგრამებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პროგრამის შესაბამისად.

არჩეული სპეციალობისადმი მიდრეკილების გამოვლინების მიზნით ყველა შემსვლელთან ჩატარდება გასაუბრება.

კონკურსი გაიმართება სპეციალობების მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხულნი საერთო საცხოვრებლით არ იქნებიან უზრუნველყოფილნი.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სათანადო ფაკულტეტებზე და ინსტიტუტის მიმღებ კომისიაში (ლენინის ქ. № 77).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/შ მდივ ნის — 99-72-80. სამდივნოსი — 99-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61. პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ᲨᲔ 08398 საქ Კპ